



საპარტიალოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ЛЕЛО
ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან • ზანი 8 კაპ.

მოკ-ის კლენუმი სსენარი!

„ლელოს“ საპედაგოგიური კომისიონატი ეროვნული კლენუმის თემაზე განხილვას მოსკოვიდან ბელარუსის მკვლევარებთან ერთად:

სსრ კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პლენუმმა 4 აგვისტოს გვიან ხალხის გამოცანა გადაწყვეტილება: საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტს 1988 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლის კანდიდატად სსრ კავშირის ეოკ-ი წარუდგინა შავი-ღვინისა ქალაქ სოკს. ესაა უპირატესად შეფასებულა, როცა ქალაქს, როგორც თვით ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ ზამთრის სპორტის სახეობების ცენტრად არავინ იცნობს და მას თეთრი ოლიმპიადის მასპინძლობის კანდიდატად ახანდებენ.

კანდიდატების (ალმა-ათა, ბაკურიათი, სოკი) განხილვისას ცნობილია მოთხრობები (ბიატლონი-ტმა) მსოფლიოს 18 გზისა და ოლიმპიური თამაშების 4 გზის ჩემპიონმა ვ. ტინოვმა სიტყვა აიღო და პლენუმს კატეგორიულად მოთხოვა, რომ უპირატესობა ბაკურიათისათვის მიენიჭებინათ. მაგრამ სპეციალისტის ხმას უფრო აზრად მიუგდო. ფარული კენჭის ყრისას გადაწყვეტი რელი შეხატულა ეოკ-ში მოკავშირე რესპუბლიკების არათანაბარი წარმომადგენლების დისკრიმინაციულმა ფაქტმა — რსფსრ, რომლის ტერიტორიის ნაწილს სოკი ამჟამად წარმოადგენს, ეოკ-ში წარმოდგენილია წევრების ხაერთო რაოდენობის 90%-ით (მაგალითად, რსფსრ-ს ეოკ-ში მყავს 156 წევრი, საქართველოს მხოლოდ 3, აქვე ვიტყვი, რომ ბევრი რესპუბლიკა მხოლოდ ერთი ან ორი წევრითაა წარმოდგენილი).

საქართველოს დელეგაციამ აღშფოთება გამოთქვა ასეთი აზრისა და ყოველად აუხსენი მიერძობის გამო.

ხმები ასე განაწილდა: სოკი — 64, ბაკურიათი — 17, ალმა-ათა — 16. კენჭისყრაში სულ ეოკ-ის 99 წევრი მონაწილეობდა.

სამარცხენო სცენარით ჩატარებულ ეოკ-ის ამ პლენუმის შეხახებ დაწვრილებით „ლელოს“ უახლოეს ნომერში გვექნება საუბარი.

ამჟამად პლენუმზე, განიხილეს სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის ახალი წესდების პროექტი, მაგრამ ბალტიისპირეთის რესპუბლიკებისა და საქართველოს ერთობლივი პროტესტის გამო პროექტი არ მიიღეს.

ახალი პროექტი, თუ მას მიიღებდნენ, მოკავშირე რესპუბლიკებს თავიანთი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების შექმნის შესაძლებლობას უზღობდა.

წყალსატენილამურო სპორტი

ისევ ხათუნა კორკელია



დენაროპატრონსკაი IV საკავშირო ახალგაზრდულ სპორტულ თამაშებზე 17 წლის ფოთელმა გოგონამ ხათუნა კორკელიამ პირველი ადგილი დაიკავა ტრამპლინიდან ბტომაში. ახალგაზრდა წყალმობილამურემ მამინვე მიიპყრო სპეციალისტთა ყურადღება და იგი ნაკრებში შეიყვანეს.

ამ დღეებში ქართველ სპორტსმენს ახალი, უფრო რთული გამოცდის ჩაბარება მოუხდა: ფელდბერგში (გერ) ჩატარდა სოციალისტური ქვეყნების წყალმობილამურეთა შეჯიბრება „მეგობრობის თასზე“, რომელშიც საბჭოთა კავშირმა 10 სპორტსმენი გამოიყვანა.

ფოთელმა გოგონამ ამჯერადაც ისახელა თავი და სამი პირველი ადგილი დაიკავა. განსაკუთრებით ეფექტური იყო მისი ნახტომი ტრამპლინიდან 37,3 მეტრზე. საბჭოთა სპორტსმენებმა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში სულ 16 გამარჯვება მოიპოვეს, მათგან ოთხი დღუნელ სვეტლანა კულრიავცევაზე მოდის, სამი კი, როგორც უკვე მოგახსენეთ, ხათუნა კორკელიაზე.

ხუროთხურო: ხათუნა კორკელია.

სპორტსაზოგადოება სიჯანსაღისა და სპორტის ფონდს

პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება თბილისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ბაღაშვილმა გვაცნობა, რომ საქალაქო საბჭოს თანამშრომლებმა, საერთო თანხებით, რესპუბლიკის სიჯანსაღისა და სპორტის საქველმოქმედო ფონდში ერთი კვარტლის პრემია გადაიტანეს.

ნნობით, რესპუბლიკის სიჯანსაღისა და სპორტის საქველმოქმედო ფონდში ერთი კვარტლის პრემია გადაიტანეს.

დაჯილდოება

რესპუბლიკაში კალათბურთის განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისა და დაბადებიდან 60 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ტრასპკომმა საპატიო სიგელი და დიდი სამახსოვრო ოქროს მედალით დააჯილდოვა ალექსანდრე ივანეს ძე კილაძე.

კავშირებით საქართველოს სსრ ტრასპკომმა საპატიო სიგელი და დიდი სამახსოვრო ოქროს მედალით დააჯილდოვა ალექსანდრე ივანეს ძე კილაძე.

შენახეთ - ქიოსი



ლოს-ანჯელისი. აშშ-ს მოცურავეთა ჩემპიონატში მიაკ ბაროუმენმა (სეულში იგი მეოთხე იყო) ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა ბრასის სტილით 200 მეტრზე ცურვაში — 2.12,9. ძველი მსოფლიო რეკორდი ეკუთვნოდა კანადელ ვიქტორ დევისს და დამყარებული იყო ამავე აუზში ხუთი წლის წინ.

ლონდონი. მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი მოტობოლაში ამერიკელი ფრედი სპენსერი არ მიიღებს მონაწილეობას „გრან-პრის“ პროგრამით გამართულ შეჯიბრებაში. ამის შესახებ აცნობეს სპორტსმენს რბოლის დაწყებამდე სამი დღით ადრე „მარბორო-იამახის“ გუნდის ხელმძღვანელებმა. უფრინალისტებთან საუბარში ერთ-ერთმა მათგანმა განაცხადა, რომ სპორტსმენმა ვერაფრით ვერ დასძლია ოთხი წლისწინანდელი კატასტროფის შემდეგ მიღებული ფსიქოლოგიური შოკი. სხვათა შორის, მოტობოლატის ისტორიაში სპენსერი ერთადერთი სპორტსმენია, რომელმაც სეზონში მსოფლიო ჩემპიონის სახელი ორ კლასში (250 და 500 კგ. სკ) მოიგო.



ნინო ხალუქვაძე

პირველი სნაიპერი

თანამედროვე საპორტული ქრონიკა უკვე წარმოუდგენლად გვეჩვენება ნინო ხალუქვაძის წარმატებების გარეშე. აღარც კი ვცოხლობთ, ხაიდან, რა უშრეტეი წყაროდან მოდის ეს დიდი გამარჯვებები — ერთმანეთზე უნიკალური და ხანაყულ ნინოს ასაკში (ის ჯერ მხოლოდ ოცე წლისაა) მსოფლიოში არც ერთ მსროლელს არ ჰქონია ასეთი მიღწევები. თუმცა, ასაკსაც რომ თავი დავანებოთ, ჩვენი ჩემპიონი ალბათ თამამად შეეცილება პირველი სნაიპერის სახელს ნებისმიერ ქვეყნის მსროლელს, რა სახეობაშიც უნდა გამოდიოდეს იგი.

ჩვენს რედაქციას კომპიუტერი არა აქვს და ვერაფრით ზუსტად ვერ დავადგინეთ (ამაში თვით სპორტსმენსაც მიუძღვის „ბრალი“) ნინოს თუნდაც წლებადღეულ წარმატებათა ქრონოლოგია. ბოლოს დასმარებისთვის თვითონ მამაშვილს, ვახტანგ და ნინო ხალუქვაძეებს მივმართეთ. ვახტანგს, ოღონდ ზოგიერთ ეპიზოდზე თვითონ მათაც მოუხდათ შეკამათება...

ინფორმ. ოთხი ოქროს მედალი საკავშირო პირველობაზე. თებერვალი. კომპენჯენი. გუნდური პირველობის ოქროს მედალი ვერობის ჩემპიონატზე პენემატური პისტოლეტის სროლაში, პირაღში კი... ნინომ მეათე ადგილი დაიკავა (ეს იყო მისი ერთადერთი წარმატებლობა, რაც გვახსოვს).

მარტი. სამი პირველი ადგილი არმიელთა საკავშირო პირველობაზე. აპრილი. ხარაევი. მსოფლიო ჩემპიონატი პენემატური პისტოლეტის სროლაში (პა-შ). აქ ნინო პირველად გახდა მსოფლიო ჩემპიონი პირად პირველობაში, გუნდურში კი მეორე ადგილი დაიკავა.


...სარაიევიში წარმოუდგენელი ამბები მოხდა. ფინალს — ბოლო ათი გასროლის წინ ნინო და გფრ-ის გუნდის წევრი ბრივიკრი ოთხი ქულის სხვაობით (385-385 ქულა ჰქონდათ) ასწრებდნენ მეტოქეებს. მასპინძელთა კერპს, იუ-

ის 2 33

აქვერად როგორთაღვს მასპინძლობს...

წალენჯიხის სანატორიული ტიპის სკოლა-ინტერნატი ზაფხულის არდადეგების პერიოდში ყოველწელს მასპინძლობს სპორტსმენებს. წელს აქ ორთვიან შეკრებაზე ჩამოვიდნენ პროფკავშირთა ნებაყოფლობით სპორტული საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს მაგიდის ჩოგბურთის ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური სკოლის აღსაზრდელები (დირექტორი როზა ბერიკაშვილი). სკოლის ხელმძღვანელობამ შეკრებაზე მოიწვია საქართველოს სხვადასხვა რაიონის პერსპექტიული სპორტსმენები. თბილისელთა გარდა აქ არიან ქუთაისელი, ბათუმელი, ცხინვალელი, თელაველი, გურჯაანელი მოსწავლეები, ჩამოვიდნენ ბელარუსით-

სა და სომხეთის მოსწავლეთა ნაკრები გუნდებიც. წალენჯიხელებს კარგი პირობები შეუქმნიათ სტუმრებისათვის. სასწავლო თუ საძინებელი კორპუსები, ღია სპორტული ბაზები ჩოგბურთელების განკარგულებაშია. — ზაფხულის დღეები ნაყოფიერად გამოვიყენეთ სამეგრელოში, — თქვა როზა ბერიკაშვილმა, — თითქმის რესპუბლიკის ყველა პერსპექტიული ნორჩი სპორტსმენი აქ არის. სამწუხაროდ, ისინი ჭერჯობით ბევრი არ არიან, რადგან სპორტს ამ სახეობას ადრე ყურადღება არ ექცეოდა. მაგიდის ჩოგბურთს გამოცოცხლება დაეტყო მას შემდეგ, რაც ოლიმპიური სახეობად აღიარეს. სწორედ ამან



მოვიდა საცხოვრებლად. ალბათ სწორი გადაკეთებულ შეკრებაზე ბელორუსისა და სომხეთის ჩუნდები რომ მოვიწყვეთ. სამჯერ ჩავატარეთ შეჯიბრება შეჯიბრება და ღირსეული მეტოქეობა გავუწიეთ სტუმრებს, რომელთა შემადგენლობაში ბევრია ოსტატი, ოსტატობის კანდიდატი. პრობლემები საქმად გვაქვს — გვაკლია კვალიფიციური მწვრთნელები, არ გვივარჯიხებენ ინტერატი და რაც მთავარია, არ გვაქვს საკუთარი საწვრთნელი ბაზა. ესარგებლობ შემთხვევით და მიწამდლობა გადავუხადო რაიონის ხელმძღვანელობას ესოდენ ხელშეწყობისა და დახმარებისათვის. ნაზარ შანია, „ლელოს“ ხაყ. კორ. ავტორის ფოტო.

მჯერა, დაღვება დრო...

ეროვნული გიგანტი

სპორტის მოყვარულები ყურადღებით ადევნებენ თვალს ამ ბოლო დროს პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებულ სპორტულ სპორტის სუვერენიტეტის შესახებ. ეს საკითხი რაც შეიძლება მალე და, რაც მთავარია, დადებითად უნდა გადაწყვიტოს.

ჩემი აზრით, დღეს იმისთვის გვიწევს ბრძოლა, რისი უფლებაც კონსტიტუციურად გვაქვს და გვაქვს. საქართველოს სპორტსაბჭომ, სპორტის სხვადასხვა სახეობების ფედერაციებმა უნდა შეისწოდონ დამოუკიდებელი საქართველოს დამყარება „გარე სამყაროსთან“. მაგრამ ვიდრე ეს მოხდება (იმედია, დღევანდელი სიტუაციის მიხედვით უნდა დამოუკიდებელი).

ყველა შემთხვევაში ეს ხომ მაინც საქართველოს სახელია.

წავიკითხე „ლელოში“ გამოქვეყნებული წერილი „რაგბი: გზა წინსვლისა“. ვეთანხმები ავტორს იმაში, რომ საბჭოთა სპორტის უსუსტესი რგოლი რაგბია და სუვერენიტეტისათვის ბრძოლა სწორედ აქედან უნდა დაიწყოს. არაოლიმპიური რაგბი ნამდვილად გერბის როლია საქართველოს მასშტაბით და საბჭოთა სპორტის „მეფე“ პერსპექტივაშიც არ ცდილობენ დემოკრატიის პროპაგანდას — სპორტისათვის პარაოლიმპიკი კი არ შეაქვთ ეს სახეობა.

ზიღვაში, რაც რაგბის სტადიონებს ზალის დასვენების კერებად აქცევს და გარკვეულ შემოსავალს მისცემს ქართულ გუნდებს. ამასათვის, კარგი თამაშის გარდა, საჭიროა სტადიონებზე სათანადო კომფორტის შექმნა.

არანაკლებ საჭიროა გაფორმების რაგბის სამოყვარულო სტადიონები, რათა გულშემატკვრელებმა ეჭვის თვლით არ უყურონ მატჩებს და მორაგბეთა ადამიანურ ღირსებებს. ამასთან დაკავშირებით, მინდა გადავხედო ქართული რაგბის მიერ დღემდე გამოვლილ გზას.

ქულებისათვის ყოველგვარი საშუალებით ბრძოლა. ყველა ამ გარდა, მაკალი ერთად მოქმედ და მონაწილე პირადად ვარ.

და აი, ბოლოს მივედი დასკვნამდე, რომ არ ღირს ქულები იმად, მას რაგბის სიწმინდე რომ შეგვიერთო. მე მომხრე ვარ, ისეთი რაგბისა, რომელიც ქვეყანას ისეთ ქართველებს დაუზრდის, მოედანზეც პირველი რომ იქნებიან და ცხოვრებშიც, სპორტიდან წასვლის შემდეგ ცხოვრების გზა სიძინი არ ექნებათ და თავინათ გარჯით წელიწადში შეიტანენ საქართველოსთვის მნიშვნელოვან ყველა საქმეში.

ჩემიონატის მატჩების როდენობა არ შემიძირდა. ამიტომ, სხვა რესპუბლიკების ფედერაციებთან შეთანხმებით, უნდა მოვითხოვოთ, რომ საქართველო ჩემიონატის მატჩების რიცხვი არ აღემატებოდეს 18-ს და კვირაში იმართებოდეს თითო თამაში (ე. ი. 10 კუნდი იასპარეზებს 2 წრედ). ეს საშუალებას მოგვცემს, საქართველო ჩემიონატს დაეთმოს მისი-სექტემბერი, საქართველოს ჩემიონატს — ოქტომბერ-აპრილი, იანვარი და აგვისტო კი დასვენებისათვის გამოვიყენო.

მსოფლიო ყველა სახელმწიფო, თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, მონაწილეობს პანამერიკულ, ბალკანეთის, აფრიკისა თუ აზიის ქვეყნების თამაშებში. ვერჯერობით ჩვენც მივიღოთ გერბის იმ ქვეყნების ჩემიონატში მონაწილეობა, რისთანაც ბედმა თუ უბედობამ გაგვიერთიანა. მითითებულს, რომ მონაწილეობა სპორტით საქართველო ჩემიონატში სპორტის ბევრ სახეობაში მსოფლიოსა და ევროპის პირველობებს არ ჩამოუვარდება. თუმცა ამან არ უნდა შეზღუდოს ჩვენი სპორტისათვის კონტაქტები, საქართველოს ეროვნული ნაკრებების მონაწილეობა ევროპისა და მსოფლიოს ჩემიონატებში.

გადავხედოთ ჩვენი რაგბის ასპარეზს: კლებებისათვის — საბჭოთა კავშირის პირველობა და თასი, ნაკრებისათვის — ფირაქს არცთუ ავტორიტეტული ჩემიონატი, აქა-იქ სპორტსმირის მატჩები, რომლებსაც „თავის გემოზე“ ანაწილებენ საქართველო რაგბის „მამები“. საქართველო ჩემიონატის უთავბოლო სტრუქტურისა და ფრიად დაძაბული განრიგის გამო, მორაგბეთა და რაგბის გულშემატკვრელთა შორის აშკარად შეიძინება გულგრილობა. მატჩების მეტი წლიც ტრავმირებული და ერთობ მისაწყვეტი გახდა. საქართველო ჩემიონატი დამატებით თავბრუდამხვევ კარუსელს, სხვადასხვა პერიოდულად იცვლებიან ლიდერები — ზოგადად, ზოგადი ჩამოღობის, მაგრამ თამაშის დონე არ მაღლდება. ერთ დროს ძლიერმა მრავალმა გუნდმა უღრტევივლად დათმო პოზიციები, მაგრამ ეს არავის აწყუბებს. ჩემი აზრით, დიდი ქალაქების სპორტის მესვეურები იმდენად დატვირთული არიან ოლიმპიურ სახეობებზე ზრუნვით, რომ რაგბისთვის ვეღარ იცლიან. მით უფრო, რომ ამისთვის მათ პასუხსაც არავინ სთხოვს.

ეს დრო შეიძლება სამ ათწლეულად დიდად. თითოეულ მათგანს ჰყავდა თავისი ლიდერი, წამყვანი კოლექტივი. ჩემი აზრით, 60-იანი წლების საუკეთესო სარაგბო გუნდი იყო თბილისის „დინამო“, 70-იან წლებში — თბილისის „ლოკომოტივი“, 80-იან წლებში კი ქუთაისის მორაგბეთა გუნდი. პირადად მე უპირატესობას ვანიჭებ სამოციანი წლების თბილისის „დინამოს“. ამ გუნდში შერწყმული იყო კარგი ფიზიკური მომზადება, მაღალი სამეცნიერო-მედიკალური და იმპროვიზაცია, რაგბის სიყვარული, ერთობაშია, ურთიერთპატივისცემა და მეგობრობა. ყოველივე ეს არ აკლდათ პირველი ათწლეულის სხვა გუნდების წევრებსაც, თბილისური და ქუთაისური რაგბის პირველ მერცხლებს. ეს იყო წმინდა სამოყვარულო რაგბი. სხვადასხვა სპეციფიკის ადამიანები, უმეტესად სტუდენტები — მომავალი ექიმები, ინჟინრები, მხატვრები — შეცნობი მუშაკები, ამ თავიანთ საქმეზე შეყვარებული ჯაბუკები არანაკლები სიყვარულით გარვიშობდნენ, ეფერებოდნენ ერთმანეთს და ყველანი ერთად — რაგბის. მათთვის ყოველი ვარჯიში და თამაში დღესასწაული იყო.

სეთე არ გამოვით, თითქოს პროფესიული სპორტის წინააღმდეგი ვიყო. პროფესიონალიზმი აუცილებელია მაღალი სპორტული შედეგების მისაღწევად, რასაც დიდძალი ენერჯის ხარჯვა სჭირდება. ხარჯს კი აღდგენა უნდა, ხოლო ნორმალური ხარჯვა-აღდგენის პროცესისთვის პირთბობია საჭირო. ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ მინდა, რომ ყველა ქართველი პროფესიონალი სპორტსმენი, ინტელექტუალური უტოლდებოდეს თავის სპორტულ დონეს და „მატერიალურ წახალისებაზე“ უწინარეს საქართველოს სახელისთვის ღვრიდეს ოფლს. ანაზღაურება საჭიროა და წახალისებაც, მაგრამ წახალისება არ უნდა იქცეს სპეკულაციისა და ანგარიშის წყაროდ.

აუცილებელია დროულად გადაიჭრას ეროვნული ნაკრების ფორმის დამზადების საკითხი. აქ უნდა ფიგურირებდეს მეწამული, თერთი და შავი. თუ როგორ განაწილებს ეს ფერები, დიზაინერების საქმეა. ვინაიდან საქართველოს ეროვნული ნაკრების დებოუტი სექტემბრისთვისაა დანიშნული, აგვისტოს ბოლოს ფორმა მზად უნდა იყოს.

სპორტის იმ სახეობების ფედერაციები, რომლებიც საქართველოში ფეხზე მყარად დგანან, საჭიროა დროულად შევიდნენ საერთაშორისო გაერთიანებებში. ამის შემდეგ დღის წესრიგში დადგება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ საქართველოს აღიარება. დამოუკიდებლად უნდა შეგვიძლია ოლიმპიურ თამაშებზე იმ გუნდებისა და სპორტსმენების მივლინება, რომლებსაც გამარჯვების შანსი აქვთ. სხვა თუ არაფერი, ოლიმპიურ თამაშებში, როგორც მოგეგნება, თვითნებური გუნდური ჩათვლა არ არსებობს, ასე რომ, სპორტის საქართველო ხელმძღვანელთათვის პრიორიტეტულია სწორედ ერთი უნდა იყოს, ჩვენი სპორტსმენები რომელი დღეგაცის შეზღუდვებში მობარჯვებენ წარმატებას.

ჩვენში, ლელოს ტრადიციების ქვეყანაში, რაგბის ნოყიერი ნიადაგი დაზღვა და აქი იხარა, კიდევ ამიტომ ძალზედ საწყენი იქნებოდა თუ ოცდაათი წლის წალოლია იმუხა ერთბაშად ჩამოხსნის დიფენსი. ნუ უყუარებთ სხვას, დროულად გახდეთ რაგბის საერთაშორისო საბჭოს წევრი, ახალი სიცოცხლე ჩაებროთ ქართულ რაგბის! ეს საჭიროა არა მარტო მორაგბეებისთვის, არამედ მთელი ერისთვის. რაგბის შეუძლია კონკურენტია გაუწიოს ფეხბურთს მაყურებლის მი-

ერთადერთი, რასაც რაგბისგან იღვრებთ, იყო თამაშით მოგვრელი უღრდესი სიამოვნება. იყო კიდევ ტრადიციები, რომლებიც ტკივილზე მეტად სიამაყეს იწვევდა. სიამაყეს იპიტომ, რომ შენ რაგბს თამაშობ!

რატომაც მგონია (ნეტავ ვცდებოდე), რომ ყოველივე ამან თანდათანობით უკან დააწია, მისი ადგილი დაიკავა რაგბისადმი უფრო პრაქტიკული და მოტივირებული მი-

ჩემიონატის მატჩების როდენობა არ შემიძირდა. ამიტომ, სხვა რესპუბლიკების ფედერაციებთან შეთანხმებით, უნდა მოვითხოვოთ, რომ საქართველო ჩემიონატის მატჩების რიცხვი არ აღემატებოდეს 18-ს და კვირაში იმართებოდეს თითო თამაში (ე. ი. 10 კუნდი იასპარეზებს 2 წრედ). ეს საშუალებას მოგვცემს, საქართველო ჩემიონატს დაეთმოს მისი-სექტემბერი, საქართველოს ჩემიონატს — ოქტომბერ-აპრილი, იანვარი და აგვისტო კი დასვენებისათვის გამოვიყენო.

წინადადება შემომავს: — საქართველოს რაგბის კავშირის გამომდინარე მივიღოთ ოგალი ოქროსფერი ამოქარგული გერბის თავი — საქართველოსთან დაკავშირებული უძველესი ლეგენდის გათვალისწინებით; თანაც, ვერძი, ყოჩი ხომ მორკინალის სიმბოლოა.

— გუნდს ეწოდოს „ოქროს ვერძები“. ეს არაფრითაა „ფრანგ მამლებზე“ ნაყოფი. მჭერა, დამკვრელი, „ოქროს ვერძები“ ღირსეულ მეტოქეობას გაუწევინ „ფრანგ მამლებს“ და „ბრიტანელ ლომებს!“

დაბოლოს, მოქმედებისკენ მოგუწოდებ ყველას, ვისაც გული შესტყუა ქართულ რაგბზე. ყველაფერი უნდა აკეთდეს საინილოდ, რომ რაგბის მატჩები დღესასწაული იყოს მონაწილეობისათვის და შეხვედრაზე მოსული გულშემატკვრელებისთვისაც.

შალვა ჭრაჭიანიძე,
საქართველოს დამსახურებული მწერალი.

პირველი სნაიპერი

(დასასრული)

გოსლაველი ოლიმპიურ ჩემპიონს იასნა სეკარიჩს ამ დროს VII ადგილი ეკავა და სატურნირო გრაფიკაში მხოლოდ 381 ქულა ეწერა, რაც იასნა ნიშნავდა, რომ ბრინჯაოს მედალზე მეტის იმედი არ ჰქონდა.

მაგრამ ზოგჯერ უფუძლებელი შესაძლებელი ყოფილა... სეკარიჩი ყველა მეტოქეზე სწრაფად ისკრის, ასეთი ჩვევა აქვს. გაისკრის, მაშინვე შეტევა ოვაცია ატყდება (მთნაწილეთა უკან ტელევიზორია და ტაბლოზე შედეგი ჩანს). ამ ხნაურმა — მსროლელთა საშიშმა მეტოქემ, უმაღლესი დამოყვანა მწყობრიდან ყველა ბრეიკერმა მაგალითად, ექვსიანი „ჩაჯა“ ერთი ტყვია, მისმა თანაგუნდელმა — ერთიანი!

არ შედრკა მხოლოდ ყველაზე ახალგაზრდა ფინლისტი — ნინო სალუქვაძე. „იყვირეთ, იყვირეთ რამდენიც გინდათ“, — თავს იმხნეებდა იგი და ტყვიას ტყვიანეჭოტად სვამდა ათიანეში. ფინალში სეკარიჩმა 102,7 ქულა მოაგროვა (თუ ტყვია ზუსტად ათიანის ცენტრში მოხვდა, ფინალისტი ტყვას დამატებით ქულათა ნაწილი ერიტებათ) და მეორე ადგილზე გადაინაცვლა. ნინომ თითქმის ოცივე მეტოქე — 102,5 ქულა, და რევანში აიღო სეკარის ოლიმპიდან დაამარცხებისთვის, სადაც იგი იუგოსლავიელს წყობად და იარაღში ჩამოხრა. ოღონდ ამჯერად სხვაობა ქულა-ნახევარი კი არა, თითქმის მთელი ოთხი ქულა იყო (487,5 — 483,7)...

მაინი. არმიელთა ჩემპიონატი. სამი პირველი და ერთი მეორე ადგილი.

მაინი. ზული (გდრ). მსოფლიო თასის გათამაშების ერთ-ერთი ეტაპი. პირველი ადგილი და ორი მსოფლიო რეკორდი მპ-5 ვარჯიშში (მცირეკალიბრანი პი-

სტოლეთის სროლა). 592 ქულა ძირითად სერიებში და 691 — ფინალს შედეგთან ერთად. მეორე ადგილზე გასული ცხნობილი უხვარე მსოფლიო ანგეშა ფერენცი მას მთელი რვა ქულით(!) ჩამორჩა. იქვე, ზულიში, ნინომ მეორე ადგილი დაიკავა პნევემტური პისტოლეთის სროლაში (33-2);

ივნიხი. მიუნხენი. მსოფლიო თასის გათამაშების ეტაპი. I ადგილი მპ-5 ვარჯიშში (მეორე ადგილზე გასული ნინომ აქაც 8 თუ 7 ქულით მოუგო), II ადგილი პნევემტური პისტოლეთის სროლაში. აქ გამარჯვდა სეკარიჩმა, რომელმაც ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 390 ქულა ძირითად სერიებში.

ივნიხი. სხვ ჩემპიონატი. მინსკი. ოთხი ოქროს მედალი (ორი — გუნდურ პირველობაში). მინსკში მეტოქეებმა ძალიან მოინდომეს ბრძოლა გაემართათ გუნდის ლიდერისთვის, მაგრამ...

ივნიხი. ევროპის ჩემპიონატი ტყვიის სროლაში. ვარკები. პირველი ადგილი.

...სეთე მაღალი, მჭიდრო შედეგები წლეულს არც ერთ შეჯიბრებაზე არ ყოფილა. ნინო ფინალში 593 ქულით შევიდა. აგნეშა ფერენცის ერთი ქულით ნაკლები ჰქონდა.

ფინალში შესანიშნავ ფორმაში მყოფმა ფერენცმა, რომელიც ნინოზე ადრე ისროდა, ყველა ტყვია ათიანეში ჩაამწყობია და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 692 ქულა. ნინოს იმის უფლებაც აღარ დარჩა ცხრილში მოხვედრებინა ტყვია, თორემ ჩემპიონობას კარგავდა.

მართლაც საკვირველ ამბავი მოხდა — ფერენცის რეკორდი უღრეური გამოდგა: ნინომაც ყველა ტყვია ათიანს უსწორა. ყოველი გამარჯვებული შედეგის წინააღმდეგ მის ზურგს უკან თავმოყრილი მეტოქეების (მათ შორის სეკარიჩის) გაოცებული

(ალბათ შურნარევიც) ოვაცია ესმოდა („კაც მოყნო ტაკ სტრელიატ“, — აღმოხდა ნინოს თანაგუნდელ გელენა სმინოვას). 693 ქულა მსოფლიო რეკორდების წუსხანში შევიდა და ნინო სალუქვაძეს, ეს უკვე მეორედნედ, ევროპის ჩემპიონის მედალი ვადაეცა...

ივლიხი. IV ხაკევირო ახალგაზრდული თამაშები. ლოკოი. ორი ოქროს მედალი.


...ნინომ და ვახტანგმა არ დაი-

ვეს. (ახალი რეკორდებიც ამ ფარეზე აღინუსხება). „სამიწე შე-აცირეს, ნინოს შედეგი კი იზრდება“, — თქვა ვახტანგ სალუქვაძემ.

ამ ახალ, მომცრო ფარს ბევრმა მსროლელმა კარგად ვერ აულო ალო, განსაკუთრებით სილუეტზე სროლაში. სილუეტზე სროლა მპ-5 დისციპლინის ერთ (უფრო სწორად, მეორე) ნახევრად ითვლება. იმეათია მსოფლიოში მსროლელი, რომ ამ ემოციურ ვარჯიშში (სილუეტის ორიოდ წამით, სინტრეტი გამომჩნდება და მაშინ უნდა მოასწრო სროლა) 295 ქულას აგროვებდეს, ნინომ კი

— თქვა ვახტანგმა, — მაგრამ ყოველთვის ასე არ არის. ევროპის ჩემპიონატის წინ საქავშირო ნაკრების მწვრთნელმა რატომაც აიხიურეს, ნინო საკონტროლო შეჯიბრებაში უნდა გამოვიდესო, არადა, ის-ის იყო ქვეყნის ჩემპიონატი ჰქონდა მოგებული. რაღას ვიზამდი, ევროპის ჩემპიონატს ხომ არ გამოვტოვებდიო, ჩავეხიტი შეჯიბრებაში, თუმცა კი ნინო ძალიან გადაღლილი იყო („იქ იჩენენ სიმკაცრეს, სადაც არ არის საჭირო“, — დაამატა ნინომ).

სექტემბრამდე თავისუფალი ყოფილხართ, ხად აბაიერბთ დასვენება?



ნინოს სპორტული ნადავლი. — ა. კობორაშვილის ფოტო.

ზარეს და საქართველოს გუნდის დასახმარებლად ლოკოში ჩავიდნენ. იქ ნინო თავისუფლად, ხალისინად ისროდა, მისი ოსტატობა დიდი მონდომების გარეშეც საკმარისი იყო მეტოქეების დასამარცხებლად.

...ნინო სალუქვაძის წარმატებების საიდუმლოებათა ამოხსნა უძნელესი საქმეა. აქ კი ერთ, ასე ვთქვათ, ტექნიკურ დეტალს შემოთავაზებთ: წლეულს ტყვიის სროლაში სამიწე ფარები დაამატარა-

წლეულს სამჯერ დააგროვა 299-299 ქულა და ერთხელ — 298. აი, ასეთი ფორა აქვს მას მეტოქეების წინაშე, თუმცა ეს უპირატესობა ქართველ სპორტსმენს შეუპოვარმა ვარჯიშმა (და ნიქმაც, რასაკვირველია) მოუტანა.

ამქამდ ნინოს, როგორც იქნა, დასვენების საშუალება მისცეს და იგი თბილისშია. „იოლად ვგაათავისუფლეს?“ — ვითქვ მამაშვილს.

— ამჯერად შედარებით იოლად,

— მე აქ, თბილისში ვისვენებ კარგად. — მიპასუხა ნინომ, — თუმცა ძალიან ცხელია. მამა კი სოფელში მიბირებს წყავანას.

ძველებურად დამჯერია ვარჯიში? — ეს უფრო ხუმრობით ვითვებ ვახტანგს.

— ახლა ისე ვიზარდა მოთხოვნები, სხვანაირად არც შეიძლება. ადრე შეჯიბრებაზე ცხრიანს, ხანდახან რვიანსაც ახვედრებდა ტყვიას და მაინც შეიძლებოდა გამარჯვება. ახლა კი ცხრიანის უფლებაც აღარ გვაქვს.

— და ყოველთვის, შეჯიბრებიდან შეჯიბრებამდე უნდა ამტიციო, რომ წინა გამარჯვება შემთხვევითი არ იყო. მეც ამას ვცდილობ, — დაუმატა ნინომ...

წერილს კი, ალბათ გაგიკვირდებათ, ცოტა უსიამოვნო „ნოტზე“ ვამთავრებთ. უკვე დათვლილი არიის პირველობებზე — ამ მართლაც მაღალი დონის შეჯიბრებებზე მოთხოვნილ ჯილდოებს. ნინო თბილისის არმიის სპორტული კლუბის სახელს იცავს, მაგრამ ვითინ კლუბი როგორ „იცავს“ მის ინტერესებს, იქიდან ჩანს, რომ 1988 წლიდან იგი არც ერთხელ არ მოუწევიათ, ერთი მაღლობაც კი არ უთქვამთ, თუმცა ნინოს ყოველი წარმატება მათ ეთვლებათ აქტივში. გარდა ამისა, ზოგიერთი შეჯიბრებიდან განთავისუფლებულ კლუბსაც შეუძლია ნინოს დაეხმაროს.

I ლიგა

4 აპრილი გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XXIII ტურის შეხვედრები.

ბათუმის დინამოელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს ლიგის ერთ-პირადი ლიდერი ცსკა. პირველ წრეში არმიულეებმა დიდი ანგარიშით დაამარცხეს ბათუმელები — 5:0, ამიტომაც ჩვენი გუნდი ამჯერად საბრძოლო განწყობილებით გამოვიდა მინდორზე, თამაში ჩატარდა საინტერესოდ, დაძაბულად, ჯერ კიდევ შეხვედრის დასაწყისში ორივე კართან შეიქმნა მეტად სახიფათო ვითარებანი, დინამოელებმა რამდენიმე სწრაფი შეტევა განახორციელეს, მაგრამ სტუმრებმა ერთ-ერთი კონტრშეტევის დროს კარგად გამოიყენეს მეტოქეთა მცველებისა და მეკარის შეცდომა და ბროზინს საშუალება მიეცა განეხსნა ანგარიში. მცირე ხნის შემდეგ, მე-17 წუთზე, ბათუმელთა მორიგ იერიშს უვანის მიერ გატანილი საპასუხო გოლი მოჰყვა — 1:1. მალე არმიულთა კარი კვლავ რეალური ზიფათის წინაშე აღმოჩნდა, კვრდოდ, კაკილაშვილმა 21-ე წუთზე ხელიდან გაუშვა ბურთის გატანის საუკეთესო შესაძლებლობა, მაგრამ იმავე კაკილაშვილმა მცირე ხანში კარგად გამოიყენა ქვანის გადაცემა და დააწინაურა თავისი გუნდი — 2:1.

მდგომარეობა დაიძაბა. ლიდერმა მთელი თავისი შესაძლებლობით იბრძოლა, გუნდის მარცხენა გარემარბმა სერგეევმა ერთ-ერთ სახიფათო მომენტში კვლავ ისარგებლა მასპინძელთა დაცვის შეცდომით და გაათანაბრა ანგარიში — 2:2. ბრძოლის სიმწვავე არ დამცხრალა მეორე ტაიმშიც, არმიულთა თავდასხმელები ბროზინს, ტატარჩუკი, სერგეევს და სხვანი ხშირად უტევენ, „დინამოს“ დაცვით ხაზები და მეკარე ბალაძე შეთანხმებულად, ორგანიზებულად იგერიებდნენ შეტევებს, ხოლო ბიგვა, ქვანია, ათუაშვილი, მეშვივი და სხვანი ხშირად ქმნიდნენ სახიფათო სიტუაციებს მეკარე შიშკინის კართან. მეტად საინტერესოდ, დაძაბულ

ბრძოლაში წარმატებას ვერც ერთმა მხარემ ვეღარ მიიღწია და ლიდერმა ქულა დაკარგა. ფრე ცსკა-სთან ბათუმის „დინამოს“ წარმატებად შეიძლება მივიჩნიოთ, გუნდს ახლა განსაკუთრებით ესაჭიროება ქულები ლიგაში თავისი პოზიციების გასამაგრებლად.

ლაჩხუთის „გურია“ 4 აგვისტოს ტიუმენში შეხვდა ადგილობრივ „გეოლოგს“. თამაში დამთავრდა ფრედ — 1:1. ქუთაისის „ტორედო“ განვილი ტურში ისევე წაიდა. მოგვეყვას XXIII ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — 4:1, ასკ (დონის როსტოვი) — „ტაგრა“ (სიმფეროპოლი) 1:0, „სპარტაკი“ (ორჰონიკი) — „დაუგავა“ (რიგა) 3:0, „ნეფთნი“ (ბაქო) — ასკ „კარაბატი“ (ლევი) 3:0, „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „კუზბასი“ (კემეროვო) 5:3, „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „ფაკელი“ (ვორონეჟი) 1:0, „კაირატი“ (ალმა-ათა) — „როსტველში“ (დონის როსტოვი) 1:0, „შინიკი“ (იაროსლავლი) — „დინამო“ (სტავროპოლი) 2:1.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა	6 აგვისტოსთვის	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	22	15	4	3	59	-17	34
„კაირატი“	22	13	5	4	41	-17	31
„გურია“	22	12	6	4	35	-17	30
„ფაკელი“	22	11	5	6	27	-15	27
„დინამო“ სტ.	22	9	9	4	31	-24	27
„ფახთაქორი“	22	10	6	6	28	-13	26
„ნეფთნი“	22	9	6	7	24	-21	24
„ნისტრუ“	22	11	10	24	-31	23	
„გეოლოგი“	22	10	3	9	24	-24	23
„როსტველში“	22	7	9	6	22	-20	23
„მეტალურგი“	22	9	4	9	22	-25	22
„შინიკი“	22	7	8	7	26	-37	22
„ტორედო“	20	9	3	8	31	-29	21
„სპარტაკი“	22	8	5	9	26	-28	21
„ტაგრა“	21	8	4	9	31	-33	20
„კოტიკი“	21	7	6	8	23	-17	20
„დინამო“ ბ.	22	7	5	10	20	-37	19
„ყუბანი“	22	7	4	11	24	-41	18
„კუზბასი“	22	5	7	10	14	-26	17
ასკ რ.	22	5	4	13	29	-42	14
ასკ „კარაბატი“	22	2	5	15	17	-45	9
„დაუგავა“	22	2	5	15	12	-41	9

საპროტა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

გათამაშების ცხრილი

მძირითადი შედეგები	6 აგვისტოსთვის	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	21	13	7	1	40	-18	38
„დინამო“ (დნეპროპეტროვსკი)	21	12	4	5	29	-20	28
„ფაშინგისი“ (ვილნიუსი)	21	11	4	6	29	-21	26
„ტორედო“ (მოსკოვი)	20	8	9	3	22	-12	25
„დინამო“ (კიევი)	19	8	7	4	22	-14	23
„დინამო“ (მინსკი)	21	9	4	8	26	-22	22
„მეტალისტი“ (ხარკოვი)	20	8	6	6	22	-19	22
„ჩერნომორეცი“ (ოდესა)	20	8	6	6	24	-23	22
„დინამო“ (მოსკოვი)	21	7	8	6	26	-20	22
„როტორი“ (ვოლგოგრადი)	20	6	6	8	18	-21	18
„პაშირნი“ (დუშანბე)	21	6	6	9	16	-26	18
„არარატი“ (ერევანი)	21	6	4	11	18	-30	16
„დინამო“ (თბილისი)	20	4	8	8	16	-21	16
„შახტიორი“ (დონეცკი)	21	6	8	12	15	-28	15
„წენიკი“ (ლინინგრადი)	22	3	7	12	14	-36	13
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	21	3	5	13	10	-26	11

სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის XXI ტურის მატჩი ვოლგოგრადის „როტორსა“ და მინსკის „დინამოს“ შორის, რომელიც 4 აგვისტოს გაიმართა, დამთავრდა „როტორის“ გამარჯვებით — 2:1.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

II ლიგა

გათამაშების ცხრილი IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი ტურის შეხვედრები: „მეტალურგი“ (რუსთაი) — „დინამო“ (სოხუმი) 3:5, ომც (თბილისი) — „კოლხეთი“ (ხობი) 2:3, „ნარტი“ (ჩერკესკი) — „ხაზარი“ (სუმგაითი) 5:0, „ლოკომოტივი“ (მინ. წყლები) — „ხაზარი“ (ლენკორანი) 3:0, „ჩიფაზი“ (კიროვობადი) — „დინამო“ (ჩხაჩხა) 1:0, „ყარაბაღი“ (აგდანი) — „ტერმისტი“ (ბაქო) 3:0, „ტორედო“ (ვოლსკი) — „შეჟარდენი“ (თბილისი) 5:0, „ატომშინი“ (ვოლგოდონსკი) — „გოიზანი“ (ყაზახი) 2:0, „კოლხეთი“ (ფოთი) — „ლილი“ (გორი) 2:0, „მერცხალი“ (ოზურგეთი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 0:1.

კვლავ ს. ალენიკოვის შესახებ

როგორც ვიწყებოდით, მინსკის „დინამოს“ ფეხბურთელი სერგეი ალენიკოვი გადვიდა იტალიის პროფესიულ საფეხბურთო კლუბ „იუვენტუსში“, იქ, სადაც უკვე გამოიჩინა კიევის დინამოელი ა. ზავაროვი. ს. ალენიკოვის კონტრაქტი „იუვენტუსთან“ გაფორმებულია 2 მილიონ 850 ათას დოლარად, ხელშეკრულების ვადაა 3 წელი. ჯერჯერობით საიღუმლოა როგორც თვით ს. ალენიკოვის პროცენტი ამ თანხიდან, ისე მინსკის „დინამოსთვის“ გადასარიცხი თანხაც. ცნობილია მხოლოდ ის, რომ მინსკის „დინამომ“ მიიღო „სუპერ-ლუქსის“ ფირმის ავტობუსი და მიკროავტობუსი, აგრეთვე, პირველხარისხის სპორტული ფორმა მოთამაშეებისა და კლუბის ქალაქის საფეხბურთო სკოლისთვის. გარდა ამისა, მინსკელებს შესაძლებლობა ექნებათ, სანამ კონტრაქტი ძალაშია, ე. ი. უახლოესი 3 წლის განმავლობაში, საწვრთნელი შეკრებები იტალიაში ჩატარონ.



IV ახალგაზრდულ საკავშირო თამაშებზე ჩვენი რესპუბლიკის ფეხბურთელთა ნაკრებმა მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. 15 რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრებ გუნდებთან ჭიდილში საქართველოს გუნდი პრიზორითა შორის მოხვდა, შედეგით, ალბათ დაგვეთანხმებით, კმაყოფილი უნდა ვიყოთ, მით უმეტეს, რომ ასპარეზობაში სადღესოდ ყველაზე პრესტიჟული ასაკის — 1970-71 წლებში დაბადებული იღებდნენ მონაწილეობას. საქართველოს ნაკრების (სერგეი როგორც სხვა გუნდების) შემადგენლობაში უმეტესობა რესპუბლიკის წამყვანი კლუბების მოთამაშეებია. ჩვენი ნაკრების ძირითად ბირთვს თბილისის „დინამოს“ დუბლორები შეადგენდნენ, ეს უფრო ზრდიდა ინტერესს უკრაინაში მეოთხე, ახალგაზრდულ თამაშებზე ჩვენი გუნდის გამოსვლისადმი, საქართველოს ნაკრების მოთამაშეთა დიდმა ნაწილმა ზომ ასლო მომავალში თბილისის „დინამოს“ ძირითადი შემადგენლობის რიგები უნდა შეავსოს.

რედაქციაში ხშირად მოგვმართავენ თხოვნით დაწერილებით მოკუთხორთი განხილვი ასპარეზობის შესახებ, აუღიშებთკივართა წერილებში სათლად ჩანს ის აზრიც, რომ საქართველოს ნაკრებს უფრო მეტის გაკეთებაც შეეძლო. ყოველივე ამის შესახებ ვთხოვეთ მოეთხოვრო საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელს, რესპუბლიკის დამსახურებულ მწვრთნელს ზურაბ მისურაძეს.

საქართველოს ნაკრებმა თამაშებისთვის მზადება კარგა ხნით აღრე დაიწყო, მის ბირთვს, როგორც იცით, თბილისის „დინამოს“ დუბლშემადგენლობის ფეხბურთელები წარმოადგენენ; თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელობამ ყოველნაირად შეეცადა ზღო ნაკრების მომზადებაში, ჩვენი გუნდი მართლაც ერთ-ერთი საუკეთესო იყო ამ პრესტიჟულ შეჯიბრებაში. თამაშებში მონაწილე 17 გუნდი ოთხ ქვეჯგუფად დაყვეს. ჩვენს ქვეჯგუფში ხუთი რესპუბლიკის გუნდი ასპარეზობდა, ხოლო დანარჩენ სამში — ოთ-ოთხი. შემდგომ ეტაპზე კი, ოთხივე ქვეჯგუფიდან ორ-ორი გამარჯვებული გუნდი გადიოდა. უცნაურობა თავდაპირველად შემთხვევითობას მივაწერეთ, მაგრამ მალე დაგვრწმუნდით, რომ ეს მთლად ასე არ იყო, — წინ ბევრი არასასიამოვნო სიუარბიზი გველოდა. ქვეჯგუფის მატჩებში საქართველოს ნაკრებმა 7 ქულა დააგროვა და პირველი ადგილი დაიკავა. დამარცხებულ უბეკვეთის (3:1), ყირგიზეთის (3:1), თურქმენეთის (3:2) გუნდები და ბოლოს ფრედ — 0:0 ვითამაშეთ აზერბაიჯანელებთან. 7 ქულა საქართველოს ნაკრებმა ძალუბნის უკიდურესი დაძაბვით მოაგროვა, ჩვენი ფეხბურთელებისათვის არც ერთი მატჩი არ ყოფილა იოლი. მიუხედავად იმისა, რომ ყველა შეხვედრაში სავარძინობი სათამაშო უპირატესობა გვქონდა.

ძლიერი შემადგენლობა ჰყავთ აზერბაიჯანისა და უზბეკეთის ნაკრებ გუნდებს. ისინი ყოველთვის ფავორიტთა შორის არიან და ან-



IV ახალგაზრდული საორბული თამაშების ეპოქა

უსიამო სიურპრეზები

გაიოშვასწვე ძალას წარმოადგენენ. ამასთან, ალბათ, შემთხვევითი არაა, რომ გარკვეულ მუსულმანურ გარემოცვაში აღმოჩნდით, პირდაპირ უცნაური დამთხვევა იყო. ჩვენი ორნაგი წაფორილებაც კი მეტოქეებს მაქსიმალურად შეეძლოთ გამოიყენებინათ, რაც, საბედნიეროდ, არ განხორციელდა. ქვეჯგუფში არასწორად იყო შედგენილი კალენდარიც, რომელიც ჩვენი მოწინააღმდეგეების წისკვილზე ასხამდა წყალს. მაშინ, როცა ჩვენმა გუნდმა მესამე ტურის შეხვედრა ჩატარა, სხვა ქვეჯგუფებში გუნდები პირველი ტურის მატჩებში მართოდ ვინდნენ. მსგავს პრივილეგიებში აღმოჩნდა ჩვენი მომავალი მეტოქე ნახევარფინალში მოღდავეთის გუნდი. მოღდაველებს ქვეჯგუფში ჩატარებულ ორ მატჩში (ერთი გამარჯვება, ერთი ფრე) უკვე განაღდეულო ქონდათ შემდგომი ეტაპის საგზური. ჩვენ კი, არასწორად შედგენილი კალენდრის წყალობით, აზავითარი ორიენტაციის საშუალება არ გვეძლეოდა, არც შეგვეძლო ახლო გავცნობოდით ჩვენს მომავალ სავარაუდო მეტოქეებს.

საქართველოს ნაკრებმა ქვეჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა და აზერბაიჯანელებთან ერთად მეოთხედფინალში გავიდა. ვინ მიიღო სხვა ქვეჯგუფიდან შემდგომ ეტაპზე თამაშის უფლება? პირველი ქვეჯგუფიდან ესენი იყვნენ: ტაჯიკეთი და მოღდავეთი, მეორედან — რუსის და ბელორუსისა, ხოლო მეოთხე ქვეჯგუფიდან — მოსკოვი და ჩვენი მეტოქე შემდგომ ეტაპზე სომხეთის გუნდი. მასთან ჩვენს გუნდს ყველაფერი გამოსდიოდა და ალბათ შემთხვევითი არ იყო, რომ სწორედ ამ მატჩში აღინიშნა ყველაზე დიდი ანგარიში — 6:2. ჩვენი ნაკრები ამ გამარჯვებით ნახევარფინალის საგზურს დაეუფლა. ორგანიზატორებმა ამ მატჩის წინაც საკმაო საფორალი გააკრიტიკეს. მატჩი, რომელიც 7 საათზე იყო დაწინაურული, ოთხის ნახევრისთვის გადმოტანეს, ამის შესახებ კი შეხვედრის დაწყებამდე მხოლოდ ორი საათით ადრე გვამცნეს. სპორტში ჩაუხედავი კაცისთვისაც კი ნათელია, თუ რა შეიძლება მოიტანოს ასეთმა გაუთვალისწინებელმა ცვლილებებმა თამაშის დღეს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ირღვევა ჩვენს რეჟიმში, რომელიც სასიკეთოს არაფერს უქადის სპორტსმენს. მაგრამ ამჯერადაც გავემართო, ბიჭებმა შეძლეს ძალების მობილიზება და დასასხურებულად გაიმარჯვეს. გუნდის ხელმძღვანელებიც და ფეხბურთელებიც მიხვედრითა იყავით, რომ ჩვენს ნაკრებს უკვე ჩემპიონებად ზედავდნენ და შემდგომ ეტაპზე უფრო მეტად გავგვიძირდებოდა ბრძოლა. ასეც მოხდა...

მაგრამ ნახევარფინალში კენებისყამ მოღდავეთის ნაკრები შეგავხვდა. ყველა გვეგონა, რომ ზედმა გავვიღოთ, მაგრამ სწორედ მოღდავეთის ნაკრებმა მოიპოვა ფინალის საგზური, რაც ალბათ, პირველ რიგში, თქვენთვის იქნებოდა მოულოდნელი. ქართულ და მოღდავეურ ფეხბურთის შორის ისეთი სხვაობაა, როგორც ცსკა და ლელამიწის შორის. გასაგებად თქვენი კითხ-

ვის აზრიც. ჩვენ ეს მატჩი, მიუხედავად არაერთი ხელშეშვლილი პრობლისა, რის შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ, მაინც უნდა მოგვეგონა. მაგრამ მოზღვავებულმა ემოციებმა სწორედ ამ შეხვედრაში იჩინა თავი. ნახევარფინალის ეს მატჩი ქალაქ მაკევიკაში „ავანგარდის“ სტადიონზე (რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო იყო პირველობაზე) ზნდა ჩატარებულიყო. მაგრამ, ბოლო მომენტში ორგანიზატორებმა რატომაც შეცვალეს გადაწყვეტილება და ისეთ უფარის მოღდავე დაგვიჩინეს შეხვედრა, რომელზეც რაიმე გააზრებულ თამაშზე ოცნებაც ზედმეტი იყო. მუხლამდე გაუთიბავმა ბალახმა თავისი გაიტანა. ამას ისიც დაემატა, რომ ნახევარი საათით ადრე შეცვალეს არბიტრი და ჩვენთვის ამ მეტად პრინციპული მატჩის ჩატარება გათამაშების მდივანს მოსკოველ ა. კუკუსოვს დაავალეს, რომელსაც ამ შეხვედრაშიც არც ერთი თამაში არ უმსახია. მისმა მიკეთებებმა, უფარისმა პირობებმა საბოლოოდ იმომედა კიდევ მატჩის შედეგზე ჩვენმა ფეხბურთელებმა არაერთი ხელსაყრელი მომენტის გამოყენება ვერ შეძლეს. ამას ისიც დაემატა, რომ შეხვედრის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე ორბირივი წაიხიკვალეს დროს მინდრიონა რატომაც მართო ჩვენი ორი მოთამაშე გააჟიქეს. ჯერი. დამატებით თერთმეტმეტრიან სერიას ვერ მიღგა. სადაც უფრო ზუსტნი მოღდაველები აღმოჩნდნენ, მათ გაიმარჯვეს კიდეც — 3:1.

ყოველივე ამის შემდეგ ჩვენს გუნდს მესამე ადგილისთვის უნდა ებრძოლა. შემოქმულის ეპოქა ალბათ ძნელი იყო ბელორუსელებთან შეხვედრის წინ ძალების მოკრება. ბელორუსიელი ფეხბურთელები ერთ-ერთი საუკეთესოები იყვნენ თამაშებზე. ჩვენს მდგომარეობაში მესამე ადგილისთვის ბრძოლა ნებისმიერ გუნდთან სასიკეთოს არაფერს ვეუქადდა, მაგრამ საქართველოს ნაკრებმა შეუძლებელი შეძლო და დამაფრთხილდაც: გაიმარჯვა — 3:1. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც სხვა შეხვედრებში, მაყურებელთა მხრიდან არცაა ამდენი გავალა ყველა დამატებითი რეპლიკები და შემახილები. მაგალითად, ასეთი: „ბერისა ნაშვირო!“ სხვათა შორის, მსგავსი შემახილებით „ამხნევედნენ“ ბალტიისპირელებსაც, ესტონეთისა და ლატვიის წარმომადგენლებმა ტურნირის დამთავრებამდე პროტესტის ნიშნად დატოვეს თამაშები.

ვის გამოყოფდით ჩვენი ნაკრების შემადგენლობიდან? — საპრიზო ადგილის მოპოვებაში ყველას თანაბრად მიუძღვის წვლილი. მაგრამ, ჩვენი აზრით, ქების ღირსნი არიან მეკარეები ლორთქიფანიძე და დევიძე, მკვიდრი მელოქაძე; ნახევარმცველები კანაშვილი, კერძევაძე (ეს უკანასკნელი 10 გატანილი ბურთით გათამაშების ბომბარდირიც გახდა). სტაბილურად ითამაშა მიიღო ტურნირი ჩვენი ნაკრების კიდევ ერთმა შედეგიანმა თავდასხმელმა ნეფარიძემ.

ესაუბრა ზაზა პახაძე.

პასარელა მიდის

ცნობილმა არგენტინელმა ფეხბურთელმა დანიელ პასარელმა დააწვევინა დიდი სპორტიდან წასული პასარელს 36 წელი შეუსრულდა. იგი იყო კაპიტანი იმ ლეგენდარულ გუნდსა, რომელმაც 1978 წელს პირველად არგენტინის ფეხბურთის ისტორიაში მოაპოვა მსოფლიო ჩემპიონობა, მონაწილეობდა 1982 წლის მსოფლიო პირველობაშიც, აი, 1986 წლის ტურნირი კი ავადმყოფობის გამო გამოტოვა. — სედიანი მოგონებები მაქვს მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატთან დაკავშირებით, — განუცხადა ყურნლისტებს პასარელმა, — არგენტინის ნაკრების ტრიუმფს პოსპიტრიდან ვადგენვდები თვალს. მე კი მაშინ, ძალზე მინდოდა გუნდთან ერთად ვყოფილიყავი... ბოლო წლებში არგენტინელი ფეხბურთელი იტალიის კლუბებში — „ფორენტინასა“ და „ინტერში“ გამოდიოდა.

ცოა გახლავთ ე. წ. ბულის ფენომენი. არც თუ ისე დიდი ხნის წინ მეოთხე დივიზიონში მოთამაშე ბულის არაფერ იცნობდა. დღეს კი მასზე ლაპარაკობენ, როგორც მეორე დივიზიონის საუკეთესო ფეხბურთელზე, რომელიც ინგლისის ნაკრებშიც კი ჩარიცხეს. 24 წლის ფორვარდს უკვე 101 გოლი აქვს გატანილი. იგი ბრიტანეთის საუკეთესო ფეხბურთელთა შორის მეექვსე ადგილზეა. ინგლისის ასეთი რეფერენდუმები 42 წელია ტარდება და აი პირველად, უძლიერესთა კლასიფიკაციაში მოხდა მეორე დივიზიონის წარმომადგენელი. ყურნლისტთა აზრით, თუ ყურადღებით არ იქნებოდა ლინეკერი და ბარნის, ახალბედა შეიძლება მათი ადგილი დაიკავოს ნაკრებში. მიუდანხე იგი ძლიერი და შემტევი ფორვარდია, ცხოვრებაში კი მოკრძალებული და მორცხვი ახალგაზრდა. პირველი დივიზიონის მწვრთნელები გულმოდგინედ ადგენებენ თვალს ამ ფეხბურთელის წინსვლას, არ არის გამორიცხული, რომ ერთ მშვენიერ დღეს ბული რომელიმე სუპერკლუბში მოიგველიოს.

გაულის ფენომენი

დუბელაგი რესპუბლიკის სახელით



სპარტა კ. თალიაშვილი (53 კგ), რომელმაც გამარჯვებული მედალი მოიპოვა.

57 კილოგრამ წონით კატეგორიაში ჩვენს გუნდში ასპარეზობდა ლ. უნიანაშვილი. ხუთი მოგების შემდეგ იგი ფინალში დამარცხდა და ვერცხლის მედალს დასჯერდა. 68 კილოგრამ წონის მოქიდავეთა შორის რ. ქადაგიშვილი III ადგილი დაიკავა.

მძიმე წონაში აშკარა იყო დ. კელიძის უპირატესობა: იგი ხუთჯერ გამარჯვდა ტატამზე და ოთხჯერ წმინდად მოიგო, საამისოდ

მას სულ ორი წუთი დასჭირდა. დათმე ფინალური შეხვედრაც იოლად მოიგო. საერთოდ, ჩვენმა მოქიდავეებმა სხვა სპეციალური პრიზები და სიგელებიც დაიმსახურეს.

ქაბუჯთა შორის I ადგილი დაიკავა ჩერკასის გუნდმა, II ადგილი — დუშეთის ნაკრებმა, III კი კიროვოგრადის სპორტსმენებს ზედათ წილად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მასპინძელთა გუნდში 30 მონაწილე იყო, ჩვენი გუნდი კი სულ შეიდი მოქიდავეთ ასპარეზობდა, რომლებმაც სამი ოქროს,

ერთი ვერცხლის და ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. მინდა აღვნიშნო გუნდის მწვრთნელის შ. ხერკელაძის, ზ. სიღნაღის, ვ. გელიაშვილის და მ. ლოსყერაშვილის კარგი მუშაობა.

ბ. ბუჩუაშვილი;
პროფკავშირთა სპორტსა-
ზოგადოების დუშეთის რაიხა-
ბჭოს თავმჯდომარე, გუნდის
ხელმძღვანელი.

ს უ რ ა თ ე ზ ე : დუშეთ მთლიან-
ტა გუნდი.
ვ. ქისტაურის ფოტო.

საქართველოში გიგლიოთა შენაწი რეზიონალი

ფინეთში სისტემატურად ტარდება სახვეწმელო ტურნირები და ერთ-ერთი ჩემპიონატები ტუის მკურნალთა, ტრექტორისტების, ზოგჯერ სხვა მასობრივი პროფესიების წარმომადგენელთა შორის. ამ შეჯიბრებებში გამარჯვებულნი საყოველთაო პატივისცემით სარგებლობენ.

აღმოსავლეთ ფინეთში, დაბა კუ-სმონში გაიმართა ფინეთის ჩემპიონატი „ხე-ტყის დამცურებლებს“ შორის. ყველაზე სწრაფად ბობოქარი მდინარე გადალახა ერთ მოსაწყვე პაულის ოლიტალომ, რომელსაც ფინეთის ჩემპიონის სახელი მიენიჭა.

სველავი მდიდარი აღამიანი მთავრობი

55 წლის იაონელი მილიარდის ტონიმიტი ცუტუმი ფორბის სპეციალური სტატისტიკური ეურნალის მიერ მესამე წელია, რაც მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ადამიანად აღსახელდა. მიმდინარე წლის 19 ივლისს იგი იაონის ზეოზნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტად აირჩიეს. იგი სპორტში ახალბედა არ გასწავლავთ. სხვადასხვა დროს იყო იაონის სპორტული ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, პოკეის და თხილამურების ფედერაციის მეთაური, არის პროფესიულ კატორთელთა კლუბის „სიბუ ლიონის“ მფლობელი.

ცუტუმის გადწყვეტილი აქვს იაონის ოლიმპიური კომიტეტის ძირფესვიანი რეფორმა, სურს იგი დამოუკიდებელ ორგანიზაციად გადაქციოს. „ჩემი მიზანია, — აცხადებს იგი, — დავარსო იაონის ნამდვილი ოლიმპიური კომიტეტი, რომელსაც არაფერი ექნება საერთო მოყვარულთა სპორტულ ასოციაციასთან (ასოციაცია მთაწარმის ორგანოა და ფაქტურად სამოყვარულო სპორტის ყველა სხეობას აერთიანებს).“

პიკვილი პიკვირი ძიუდოში

ანგლიკა ვილკი პირველი ქალია გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, რომელსაც ძიუდოში საერთაშორისო არბიტრის ლიცენზია გადაეცა. ძიუდოში მეცადინეობა მან თერთმეტი წლის ასაკში დაიწყო. მალე წარმატებასაც მიაღწია, მაგრამ ფიზიკური მდგომარეობის გამო იძულებულ იქნა გასა დატოვებინა ძიუდოსთვის.

10 წლის წინ პირველად იმსახრა ორთაბრძოლა, მერე მსხვერპი შეჯიბრებაშიც მიიწვიეს და სულ მალე პოპულარული არბიტრი გახდა. სპეციალისტთა აზრით ანგლიკას უზალო რეაქცია აქვს და შეუცდომლად აფასებს სიტუაციას. სწორედ ამ თვისებების გამო მას ხშირად იწვევენ ვაჟთა ტურნირების სამსახურად.

„სპორტროვნოვი“

გაერთიანება „სოიუსსპორტლოტომ“ შეაჯამა ლატარია „სპორტპროგრესის“ 1989 წლის 31-ე ტირაჟის შედეგები, რომელიც 29-31 ივლისს გაიმართა. ტირაჟში დაშვებულია 2,914,690 ვარიანტი. 13 შედეგს გამოცნობისთვის (2) მოგება 10,000 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (115) — 760 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (3,514) — 93 მანეთი. საქართველოში: 13—0, 12—8, 11—258. 31-ე ტირაჟის მოგებები გაიციემა 1989 წლის 21 აგვისტოდან 21 სექტემბრის ჩათვლით.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე

გორაკი მეგობრებო „ტრისტინა“

წალკაში პროფესიული კლუბის „ტრისტინას“ პრეზიდენტი ჟუსტალიაშვილი წინადადებით მოსკოვის „დინამოს“ და საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უძლიერესი თავდასხმელი ჟიორჯი მშვენიერაძე იტალიაში გადადის სათამაშოდ. „ტრისტინა“ პირველი დივიზიონის გუნდია და ამჟამად იბრუნებს უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად. პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ ამ ამოცანის განხორციელებაში მის კლუბს დიდად დაეხმარება ქართველი წყალბურთელის ოსტატობა.

შეგახსენებთ, რომ წყალბურთი იტალიაში საკმაოდ პოპულარული სპორტია და სპეციალისტები მას მესამე ადგილს აკუთვნებენ ფეხბურთისა და კალათბურთის შემდეგ. ალბათ, ამიტომაც იტალიის პროფესიულ კლუბებში ბევრი უცხოელი თამაშობს. ვიორჯი მშვენიერაძე პირველი საბჭოთა წყალბურთელია, რომელიც უცხოეთში გაემგზავრება სათამაშოდ.

„ტურ უმელო“ 31-ე უმელო

მთავრობის უძლიერეს ველოსიპედისტთა რანგთა ტაბელს დიდხანს ირლანდიელი შონ კელი ლიდერობდა. მერე მას პირველობა ფრანგმა შარლ მორტე ნამბარტმა, უკანასკნელი კლასიფიკაციით კი მსოფლიოს უძლიერეს ველოსიპედისტად მეორე ფრანგი ლორან ფინონი დასახელეს.

რატომ ფინონი და არა ამერიკელი გრეგ ლემონდი, რომელმაც წლეულს ბრწყინვალე სტილით, მოიგო ყველაზე პოპულარული მრავალდღიანი ველორბოლა „ტურ დე ფრანსი“ (პროფესიონალთა არა-ოფიციალური მსოფლიო ჩემპიონატი)? საქმე ის გახლავთ, რომ უძლიერესის გამოვლენა რანგთა ტაბელში კომპლექსურად ხდება, ლემონდს კი ორი წლის წინ „ტურ დე ფრანსი“ გამარჯვების შემდეგ თავი სრულიად გამოუჩინია, და ამიტომ კლასიფიკაციაში 146-ე ადგილზე იყო, წლეულად კი წარმატებამ იგი უკვე მე-18 ადგილზე გადაიყვანა. ნახტომი, როგორც ხედავთ, საკმაოდ დიდია.

აი, როგორ გამოიყურება უძლიერეს ველოსიპედისტთა შედეგები: 1. ლორან ფინონი (საფრანგეთი) — 935,08 ქულა, 2. შარლ მორტე (საფრანგეთი) — 934,77, 3. შონ კელი (ირლანდია) — 816,17, 4. პედრო დელადალი (ესპანეთი) — 604,91, 5. სტეფენ რუკსი (პოლანდია) — 561,82, 6. მაურციო ფონდრატისი (იტალია) — 533,23, 7. მარიო ლეიარტა (ესპანეთი). შეგახსენებთ, რომ მეშვიდე ადგილიდან მოყოლებული ველოსიპედისტებს ქულები არ ერიცხებათ.

რონალდ რიგანი — ქინოვარსკვლავი და სოკრბული კომენტატორი

1932 წელს 21 წლის რონალდ რიგანმა მოშლილ ილინოისის შტატის, იუროის კოლეჯის დამთავრების შემდეგ დევნობრტში დაიწყო სპორტულ კომენტატორად მუშაობა, მერე კი — ქალაქ დე-მოინის რადიოსადგურ დაბლ-ოუ-ეი-ოუს მიმომხილველი გახდა (აიოვას შტატი), სადაც დიდი პოპულარობა მოიპოვა ადგილობრივ მცხოვრებთა შორის, რომლებიც მომავალ პრეზიდენტს იცნობდნენ ჯერ კიდევ სკოლაში შერქმეული მეტსახელით — „დატჩი“.

სწორედ ამ წლებში ხეწდა რიგანი თანდაყოლილ ნიჭიერებას. რედაქციაში ტელეტაიპით მოსულ ბეისბოლის მატჩების რიგით ანგარიშებს ის დინამიზმით ავსებდა, შედეგად „მეკადრი ჩონჩხისთვის“ ხორცი შეეხება და სულ უთავებრა, ქმნიდა ფაქტებსა და გამოწვევებს ისეთ ნაწილს, რომელიც დიდ შემოქმედებას ახდენდა აუდიტორიაზე. სპორტული კომენტატორობისას მიღებულმა გამოცდილებამ დიდი სასახური გაუწია მას მოგვიანებით, როცა პოლიტიკურ სარბილზე გადაინაცვლა.

ერთხელ, რიგანი კალიფორნიაში ახლდა საწვრთნელ შეკრებაზე ჩასულ კალათბურთელთა გუნდს „ჩიკაგო კაბისის“, რომლის მატჩებსაც იგი კომენტარს უკეთებდა. აქ მან პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი კინოფილმის „უორნერ ბრაუერის“ აგენტ გაიცნო. მისი დახმარებით რონალდის კინოსინჯები გადაუღეს პოლიტელში. შემდეგ, შინ დაბრუნებულმა რიგანმა ასეთ დღემდე მთელი ავტენტიკური „უორნერ ბრაუერის“ შეიღწილი კონტრაქტს გათავაზობს. დასაწყისისთვის — კვირაში 200 დოლარი. როგორ მივიქცეთ?“ — რიგანდამ დაუყვანებლო უპასუხა: „ხელი უნდა მოვაწეროთ, ვიდრე გადაიფიქრებდნენ“.

ეს მოხდა 1937 წელს, რონალდი 26 წლისა იყო. წინ ჯერ კინოფარსკვლავის, შემდეგ კი პოლიტიკური მოღვაწის თავბრუსხვევები კარგვრა ელოდა.

პოლიტელში სახელი რონალდ

რიგანი მსახიობისთვის სასვებით „შესაფერისად მიიჩნეს. ასე რომ, „დატჩი“ სწორედ იქ დაიბრუნა თავისი ნამდვილი სახელი, სადაც სხვები, ხშირად, კეთილშობილან ფსევდონიმებს იღებენ ხოლმე.

თავის პირველ ფილმ „სიყვარული ჰაერში“ რიგანმა ახალგაზრდა სპორტული კომენტატორის როლი შეასრულა, ეს იგი, თითქმის, საკუთარი თავის განსახიერება მოუხდა. „უბრალო კარგი ბიჭის“ სახე გაიმეორა კიდევ რამდენიმე ფილმში. შემდგომში იგი დიდილით იხსენებდა, როგორ „შევიარდებოდა ხოლმე კუფაზე მოქცეული ქუდი თანაში, იღებდა ყურმილს და ყვიროდა: „რედაქციაში მისივე სიტყვით ყოველთვის სენსაციური ამბავი მაქვს, რომელიც ამ ქალს ააფეთქებს“.

შემდგომში, რონალდი მეტწილად იმას თამაშობდა, რაც ასე აუთსე ეხმანებოდა მის ცხოვრებას, ჩვენებსა და ინტერესებს. რიგანს კი, მისივე სიტყვით ყოველთვის სამი რამ აინტერესებდა: პოლიტიკა, კინო და სპორტი. ამიტომ, როდესაც შეიტყო, რომ „უორნერ ბრაუერის“ ამირებდა გადაეღო ფილმი ლეგენდარული ფეხბურთელის (ფეხბურთეობა ამერიკულ ენაზე) კენტ რიგის შესახებ, მან ყველაფერი გააკეთა, რათა ხელიდან არ გაეშვა ამ ფილმში მონაწილეობის შანსი, და პნევიმონით უდროოდ ვარდაცვლილი ნიჭიერი ფეხბურთელი ჯორჯ ჯიპერი განსახიერა.

ფილმის ერთ-ერთ ყველაზე დრამატულ სცენაში კენტ რიგის მატჩის წინ მოუწოდებს გუნდს: „გამეზარჯეთ ჯიპერის სახელის უკვდავსაყოფად“. შემდეგ, როდესაც რიგანი სახელგანთქმული პოლიტიკური მოღვაწე გახდა, და უკვე პრეზიდენტობის (დროსაც იგი ხშირად იყენებდა ამ გამოთქმას: „გამეზარჯეთ ჯიპერისათვის“). უკვე 1941 წელს რონალდ რიგანი უფრო მეტ წერილს იღებდა მასურებლისგან, ვიდრე „უორნერ ბრაუერის“ ნებისმიერი სხვა ვარსკვლავი, ჯიპის კეგნის ჩათვლით; ამ მხრივ, იგი მხოლოდ ერთ ფილმს ჩამორჩებოდა.

საყოველთაოდ არის ცნობილი რონალდ რიგანის შემდგომი ზესაცვლის საფუძვლები: მსახიობთა პროფკავშირის ხელმძღვანელი, კალიფორნიის ვუბერნატორი, პრეზიდენტობის კანდიდატი და, ბოლოს, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პრეზიდენტი ამერიკის ისტორიაში. მაგრამ, მას პოლიტიკური კარიერის მწვერვალზეც კი არ განვლვებია სიყვარული თავისი „კინოწარსულისა“ და, საერთოდ, კინოსაში, პრეზიდენტად აღზვევების ცერემონიაზე გასმონდა მუსიკა მისი უსაყვარლესი ფილმიდან „კინების როუ“, ხოლო თავისი ავტობიოგრაფია მან ამავე ფილმიდან აღებული განთქმული ფრაზით დაასათარა: „სად არის ყველაფერი დანარჩენი?“ (ამ სიტყვებს წარმოთქვამს რიგანის გმირი, რომელსაც საოცრადიონ ნარკოტიკად გამოფხიზლებდა და ამოთარგნის, რომ საღისტმა ექიმმა, ყოველგვარი სამედიცინო აუცილებლობის გარეშე, ორივე ფეხი მოკვეთა).

და კიდევ: რიგანი ყოველთვის სამომავლებით იფრენდა დე-მოინში სპორტულ კომენტატორად მუშაობის წლებს. პრეზიდენტობის მეორე ვადის გასვლის შემდეგ, რონალდ რიგანი წერდა მემუარებს, სიტყვით გამოდიოდა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კონფერენციებზე... ამჟამად დროს, მან მიიღო რამდენიმე წინადადება დაბრუნებოდა სპორტულ კომენტატორობას და გაემდიდრებინა ეს დარგი რაღაც მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ელფერით, რიგანისეულით, რაც მან ასე შეაფიქრა გამოვლინა თავისი მოღვაწეობის ყველა სფეროში. და, აი, ახლახანს პრესაში გამოჩნდა ცნობა, რომ 78 წლის რიგანი კომენტატორის კაბინასა და მისთვის საყვარელ სპორტულ თემს დაუბრუნდა: ივლისის დასაწყისში მას მიჰყავდა ამერიკული კალათბურთის ვარსკვლავთა მატჩის რეპორტაჟი.

პუბლიკაცია მოამზადეს
ზაზა კვიციანიშვილმა და
კობა ბრეგვაძემ.



შენახუთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა რუბენ აკოსტამ (მექსიკა) ამ დღებში გამართულ პრეს-კონფერენციაზე ზუსტი ცნობები მიაწვდინა კორეის დიდებულ ბარსელონის 1992 წლის

საზღვრულ ოლიმპიადზე საპლაუ-ფრენბურთში საჩვენებელი ტურნირის გამართვის თაობაზე, რომელშიც გამოვა ვაჟთა რვა გუნდი. უკვე მიღებულია განაცხადები ასპარეზობაში მონაწილეობისათვის სარ კაეშორის, აშშ-ს, იაპონიისა და იტალიის გროვენი ფედერაციებისაგან. სარბუნლე გამოვლენ ორი და სამი მოთამაშისაგან შემდგარი გუნდები.

ლთა მსოფლიო ჩემპიონატზე თანამედროვე სტუდენტთა სამი სახეობის (ფარიკაობა, ცურვა, სროლა) შემდეგ პირად ჩათვლაში ლიდერობს მოსკოველი ტატიანა ჩერენკოვა — 3162 ქულა. მეორე ადგილზეა ფრანგი კაროლინე დელმერი — 3128 ქულა, მესამე — უნგრელი ირენ კოვაჩი — 3105. გუნდურ ჩათვლაში დაწინაურდა ფორის ნაკრები, რომელსაც 9011 ქულა აქვს.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 280098, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპუტეტისთვის — თბილისი, „ლელო“.

აქვანდისი ბალანსი:
წერილების განყოფილება — 98-97-55, სამსახური — 98-97-52, ანტიკორუფციის განყოფილება — 98-97-58, „მეჩანი“ — 98-97-36, „მარტვი“ — 98-97-37.

ჩვენი მისამართი:
98950
954950
98485

საქართველოს კ. ც. -ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის არ. ჟენიანი სტამბა. 380098, თბილისი, ლენინის ქ. 14. აბკვლება რუსეთში წესით სავაჭრო კორპუსში: სომხეთის, 98.